



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინგილოები



ინგილოები, ქართული ეთნოსის ეთნოგრაფიული ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფი. ცხოვრობენ კახეთის ჩრდ.-აღმ-ით თანამედროვე აზერბაიჯანის გაქათალის, კახისა და ბელაქნის რ-ნებში.

„ინგილო“ ეწოდა ამ ქვეყნის მკვიდრ უძველეს ქართულ მოსახლეობას. ამ მხარის ადგილობრივ მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებს „ახლად მორჯულებულები“ (ძველი თურქული „იანგოლი“) უწოდეს, საიდანაც წარმოდგა „ინგილო“ და ამ მხარის სახელწოდება „საინგილო“.

ინგილოები

1897 აღწერით გაქათალის მაზრაში ქართული ენა მშობლიურ ენად 12.394 ადამიანმა აღიარა. გამოიყოფა ი-ის ორი ჯგუფი – ქრისტიანი და მაჰმადიანი. საბჭოთა პერიოდში და ახლაც აზერბაიჯანის ხელისუფლება ქართველებად მხოლოდ ქრისტიან ი-ებს მიიჩნევს. ისინი ქართულსუფიქსიან გვარებსაც ატარებენ. აღწერებში ქართველები (ი.) თითქმის ერთი და იმავე რაოდენობით იყვნენ დაფიქსირებული (14 ათასი). მაჰმადიანი ი. აზერბაიჯანელებად არიან ჩანერილი და გვარებიც აზერბაიჯანულის ანალოგიური აქვთ – მამის სახელზე რუსული -ევ (-ოვ) სუფიქსის დართვით. მაჰმადიანი ი-ის არაერთი ცდა, დაებრუნებინათ ქართული გვარები და ეროვნება, წარუმატებელი აღმოჩნდა.

აღმ. კახეთში, ანუ საინგილოში ქართველები ეთნიკურ უმცირესობად იქცნენ XVII ს-ში, როდესაც შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებული ქართველების ნასახლარებზე დაღესტნელი ხუნძები და წახურები ჩამოსახლდნენ. XVIII-XIX სს-ში ი-თა მნიშვნელოვანი რაოდენობა გალევდა, რადგან აღმ. კახელი გლეხები „უბატონო თემების“ მხარეზე გადადიოდნენ და მათ შორის სახლდებოდნენ.

საბჭ. პერიოდში საინგილოში მცხოვრები ქართველების ძალადობრივი ასიმილაცია მიმდინარეობდა. როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი ი. ქართული ენის ინგილოურ დიალექტზე საუბრობენ. შვეიცარიელების გამო კახის რ-ნის სოფ. ყორაღანიდან ქრისტიანი ი. 1930, კახეთში, დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროში გადმოსახლდნენ.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საინგილოში მცხოვრები ქართველები თავის თავს „ინგილოს“ აღარ უწოდებენ. მათ დაიმკვიდრეს სახელწოდება „პერი/პერელი“, რადგან ეს მხარე XV ს-მდე „პერეთის“ სახელს ატარებდა.

იხ. აგრეთვე სტ. *საინგილო*.

რ. თოფჩიშვილი
